

ძალაშია 1998 წლის 24 აპრილიდან

## შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

### საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ

საქართველოს მთავრობა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში “ხელშემკვერელ მხარეებად” წოდებულნი,

სურთ რა ორივე ხელშემკვერელი მხარის ურთიერთსარგებლიანობისათვის ხანგრძლივ საფუძველზე ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება,

განზრახული აქვთ რა ერთი მხარის ტერიტორიაზე მეორე მხარის ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და შენარჩუნება,

აღიარებენ რა, რომ ამ შეთანხმების თანახმად ინვესტიციებისათვის ხელის შეწყობა და ურთიერთდაცვა სტიმულს მისცემს ამ სფეროში საქმიან ინიციატივას, შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1 განმარტებები

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

1. ტერმინი “ინვესტიცია” მოიცავს აქტების ნებისმიერ სახეს, რომელიც ინვესტირებულია ეკონომიკური საქმიანობისათვის ერთი მხარის ინვესტიციების მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე. ამ უკანასკნელის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

a) უძრავ და მოძრავ ქონებას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა უფლებას, მათ შორის იპოთეკურ, საგირაო უფლებას და მსგავს უფლებებს;

b) აქციებს, ფასიან ქაღალდებს და იურიდიული პირების სასესხო ვალდებულებებს ან იმ იურიდიულ პირების ქონების ნაწილს;

c) სესხებს, კრედიტებს, მიზნობრივ საბანკო და ფინანსურ შენაგანებს და სხვა ფულად მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციების განხორციელებასთან;

d) ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს საავტორო უფლებების ჩათვლით, სავაჭრო ნიშნებს, პატენტებს, სამრეწველო ნიმუშებს, ტექნოლოგიურ პროცესებს, ნოუ-ჰაუსს, კომერციულ საიდუმლოებებს, საფირმო დასახელებებს და გუდვილებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციებთან;

e) კანონმდებლობის შესაბამის ლიცენზიებსა და ნებართვებს.

ფორმის ნებისმიერი ცვლილება, რომელშიც ინვესტირებულია აქტივები, არ მოახდენს გავლენას მათ ხასიათზე, როგორც ინვესტიციებზე.

2. ტერმინი “ინვესტორი” ნიშნავს:

ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე:

a) ტერმინი “ფიზიკური პირი” ნიშნავს, ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც გააჩნია მოქალაქეობა ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ნებისმიერი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად,

b) ტერმინი “იურიდიული პირი” ნიშნავს ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მიმართ ნებისმიერ დაწესებულებას, საწარმოს ან ორგანიზაციას, შექმნილს თითოეული ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად და რომელსაც აქვს უფლება განახორციელოს ინვესტიციები მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

3. ტერმინი “შემოსავლები” ნიშნავს ფულად თანხას, რომლებიც მიღებულია ინვესტიციების შედეგად და მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემოსავლებს, პროცენტებს, კაპიტალის ნამატს, დივიდენდებს, როიალთის და გადასახადს მომსახურებაზე.

4. ტერმინი “ტერიტორია” თითოეულ ხელშემკვრელ მხარესთან მიმართებაში ნიშნავს მათი სუვერენიტეტის ქვეშ მყოფ ტერიტორიას, ასევე სამღვაო და წყალქვეშა რაიონებს, რომლებზეც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ეს ხელშემკვრელი მხარე ახორციელებს სუვერენიტეტს, უფლებებსა და იურისდიქციას.

## **მუხლი 2**

### **შეთანხმების გამოყენება**

ამ შეთანხმების პირობები გამოიყენება ყველა იმ ინვესტიციების მიმართ, რომლებიც განხორციელებულია ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორის მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, როგორც ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, ისე მას შემდეგ.

ამ შეთანხმების დებულებები არ ვრცელდება 1991 წლის 16 დეკემბრამდე განხორციელებულ ინვესტიციებზე.

## **მუხლი 3**

### **ინვესტიციების წახალისება და დაცვა**

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე წახალისებს და შეუქმნის ხელსაყრელ პირობებს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებს თავის ტერიტორიაზე ინვესტიციების განხორციელების მიზნით და დაუშვებს ასეთ ინვესტიციებს საკუთარი კანონმდებლობისა და წესების შესაბამისად.

2. ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორის ინვესტიციები სარგებლობენ სამართლიანი და თანასწორუფლებიანი დამოკიდებულებით, სრული დაცვითა და უსაფრთხოებით მეორე მხარის ტერიტორიაზე.

## **მუხლი 4**

### **ინვესტიციების ეროვნული და უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი**

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე თავის ტერიტორიაზე მიაჩნებს მეორე მხარის ინვესტორთა ინვესტიციებს რეჟიმს, რომელიც სამართლიანი და თანასწორია

და არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე რეჟიმი, რომელსაც ის ანიჭებს საკუთარი ან ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს ინვესტორთა ინვესტიციებს.

2. თითოეული ხელშემკვრელი მხარე თავის ტერიტორიაზე მიანიჭებს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებს მართვასთან, შენარჩუნებასთან, გამოყენებასთან, შემოსავლის მიღებასთან, დამატებით ღირებულებაზე გადასახადების გადახდის გათავისუფლებასთან, ეროვნული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების დასახმარებლად სპეციალურ გადასახადებთან და საკუთარი ინვესტიციების განკარგვასთან დაკავშირებით რეჟიმს, რომელიც სამართლიანი და თანასწორია და არანაკლებ ხელსაყრელი, ვიდრე რეჟიმი, რომელსაც იგი წარუდგენს საკუთარ ინვესტორებს, ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის ინვესტორებს.

3. ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებები არ უნდა იქნეს განმარტებული როგორც ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ვალდებულება გაავრცელოს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებზე უკანასკნელი ხელშემკვრელი მხარის მიერ გავრცელებული ნებისმიერი რეჟიმის, პრეფერენციების ან პრივილეგიების სარგებლიანობა, რომელიც გამომდინარეობს:

a) ნებისმიერი საბაჟო კავშირებიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან ან მსგავსი საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამშრომლობის საინვესტიციო რეჟიმზე ან რეგიონალური თანამშრომლობის სხვა ფორმებზე, რომელთა მონაწილეც არის ან შეიძლება გახდეს რომელიმე ხელშემკვრელი მხარე;

b) ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმებიდან ან ხელშეკრულებიდან, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ ეხება დაბეგვრას.

## **მუხლი 5** **დანაკარგების კომპენსაცია**

1. იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების ინვესტიციები განიცდის დანაკარგებს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ომის, შეიარაღებული კონფლიქტის, ეროვნული საგანგებო მდგომარეობის, გადაგრიანების, აჯანყების, შეთქმულების, სტიქიური უბედურებების, ავარიების ან სხვა მსგავსი გარემოებების შედეგად, მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ მათ მიენიჭებათ რეჟიმი, რომელიც რესტიტუციასთან, ანაზღაურებასთან, კომპენსაციასთან ან სხვა გადაწყვეტილებასთან მიმართებაში არანაკლებ ხელსაყრელია ვიდრე ის რეჟიმი, რომელსაც ეს უკანასკნელი მიანიჭებს საკუთარი ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის ინვესტორების ინვესტიციებს.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის პირობების დაურღვევლად თუ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორები, რომლებმაც განიცადეს ზარალი ამ პუნქტში აღნიშნული მოვლენების დროს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, რომელიც გამოწვეულია:

a) მათი საკუთრების ხელისუფლების მხრიდან რეკიზიციით,

b) მათი საკუთრების ხელისუფლების მხრიდან განადგურებით, რომელიც არ იყო გამოწვეული საომარი მოქმედებებით ან სიგუაცის აუცილებლობით,

მიეცემათ სამართლიანი და აღექვამური კომპენსაცია დანაკარგებზე, რომლებიც განიცადეს ინვესტორებმა საკუთრების რეკვიზიციის დროს ან საკუთრების განადგურების შედეგად.

წარმოშობილი გადასახადების გადაგზავნა თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით, მოხდება შეუფერხებლად.

## **მუხლი 6** **ექსპროპრიაცია**

1. ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა ინვესტიციები მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე არ იქნება ნაციონალიზირებული, ექსპროპრირებული ან მათ მიმართ არ იქნება მიღებული ნაციონალიზაციის ან ექსპროპრიაციის (შემდგომში – “ექსპროპრიაცია”) ექვივალენტური ეფექტის მქონე ზომები გარდა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ექსპროპრიაცია განხორციელდება სასამართლო წარმოების შესაბამისად, არადისკრიმინაციულ საფუძველზე და დაუყოვნებელი აღექვადური და ეფექტიანი კომპენსირებით. ასეთი კომპენსაცია გაუთანაბრდება ინვესტიციების საბაზრო ფასს იმ დროისათვის, როდესაც ექსპროპრიაცია ან ექსპროპრიაციის საშიშროება გახდება საყოველთაოდ ცნობილი, დაემატება პროცენტი ექსპროპრიაციის თარიღიდან “LIBOR”-ის განაკვეთით, რომელიც გადახდილი იქნება იმ ვალუტაში, რომელშიც განხორციელდა ინვესტიცია ან ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმებით ინვესტორისათვის ხელსაყრელ ნებისმიერ სხვა ვალუტაში. გადახდა განხორციელდება შეფერხების გარეშე და იქნება ეფექტიანად რეალიზებადი და თავისუფლად გადაიგზავნება.

2. დაზარალებულ ინვესტორს ექნება ამ მხარის სასამართლო წესით მისი შემთხვევის დაუყოვნებელი გადასინჯვისა და ამ მუხლში მოცემული პრინციპების შესაბამისად, მისი ინვესტიციების შეფასების უფლება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები აგრეთვე გამოიყენება მაშინ, როცა ერთი ხელშემკვრელი მხარე ექსპროპრიაციას გაუწევს იმ კომპანიის აქტივებს, რომელმაც მიიღო სააქციო საზოგადოების სტატუსი ან დაფუძნებულია მისი საკუთარი ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილზე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და რომელშიც მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებს აქვთ პაი.

## **მუხლი 7** **გადაგზავნები**

1. ხელშემკვრელი მხარეები მათი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აძლევენ გადასახდელების გადარიცხვის გარანტიას, რომლებიც ეხება ინვესტიციებს და შემოსავლებს, გადაგზავნა იწარმოებს ყოველგვარი შეფერხებისა და შეზღუდვის გარეშე. ასეთი გადარიცხვები შეიცავენ კერძოდ, მაგრამ არ შემოიფარგლებიან:

a) კაპიტალს და დამატებით ფულად სახსრებს ინვესტიციების მხარდაჭერის ან გაზრდისათვის;

b) მოგებას, პროცენტებს, დივიდენდებს და სხვა მიმდინარე მოგებას;

c) ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკრედიტო შეთანხმების შესაბამისად განხორციელებულ გადასახადებს;

d) მომსახურების ანაზღაურებას ან როიალტოს;

e) რეალიზაციიდან ან ინვესტიციის ლიკვიდაციიდან შემოსავალს;

f) ხელშემკვრელი მხარის კანონების და წესების მიხედვით ფიზიკური პირების გასამრჯელოს, მიღებულს ამ მხარის ტერიტორიაზე ჩაგარებული ინვესტიციის

საფუძველზე.

2. ამ შეთანხმების მიზნებისათვის გაცვლის კურსად ჩაითვლება ოფიციალური კურსი, რომელიც ძალაში იქნება გადაგზავნის თარიღიდან, თუ სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

## **მუხლი 8** **სუბროგაცია**

1. თუ ხელშემკვრელი მხარე ან მისი შუამავალი აწარმოებს გადახდას თავისი საკუთარი ინვესტორის მიმართ იმ გარანტიების შესაბამისად, რომლებიც მან გაცა ინვესტიციების მიმართ მეორე მხარის ტერიტორიაზე, მაშინ ეს უკანასკნელი აღიარებს:

a) პირველი მხარისადმი ან მის მიერ დანიშნული შუამავლისადმი ნებისმიერი უფლებების ან ინვესტორის მოთხოვნაზე უფლებების გადაცემას, ამ ქვეყნის კანონის ან კანონიერი შეთანხმების შესაბამისად;

b) პირველმა ხელშემკვრელმა მხარემ, ან მის მიერ დანიშნულმა შუამავალმა, სუბროგაციის შედეგად მიიღო უფლება ისარგებლოს უფლებებით და წარადგინოს ამ ინვესტორის მოთხოვნები და თავის თავზე აიღოს ის ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ინვესტიციებთან.

2. სუბროგაციის შედეგად მიღებული უფლებები ან მოთხოვნის უფლება არ უნდა აღემატებოდეს ინვესტორის მოთხოვნებს და უფლებებს.

## **მუხლი 9** **ხელშემკვრელ მხარესა და მეორე ხელშემკვრელი მხარის** **ინვესტორს შორის დავის მოგვარება**

1. ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორისა და მეორე ხელშემკვრელ მხარეს შორის ინვესტიციებთან დაკავშირებით ამ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, გახდება დავაში მონაწილე ხელშემკვრელ მხარეთა შორის მოლაპარაკების საგანი. 2. თუ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორსა და მეორე ხელშემკვრელი მხარეს შორის რაიმე დავა შეუძლებელია გადაწყვეტილ იქნას ასეთი გზით წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან ექვსი თვის განმავლობაში, მაშინ ინვესტორი იღებს უფლებას გადასცეს ეს საქმე:

a) განსახილველად იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო ორგანოს, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება ინვესტიცია, ან

b) საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრის (ICSID), სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ კონვენციის შესაბამისი პირობების გათვალისწინებით, რომელიც გახსნილია ხელმოსაწერად ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში, 1965 წლის 18 მარტს, იმ შემთხვევაში, როცა ორივე მხარე გახდა ამ კონვენციის მონაწილე, ან

c) არბიტრს, ან საერთაშორისო ad hoc საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელიც ეფუძნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ვაჭრობის უფლებების კომისიას (UNCTRAL). საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები საბოლოო და სავალდებულოა ორივე მოდავე მხარისათვის.

## **მუხლი 10**

### **ხელშემკვრელ მხარეთა შორის დავების გადაწყვეტა**

1. ხელშემკვრელ მხარეებს შორის ამ შეთანხმების დებულებების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავები თუ ეს შესაძლებელია უნდა გადაწყდეს ურთიერთკონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

2. თუ ასეთი დავის ამგვარი გზით გადაწყვეტა არ მოხერხდება მისი დაწყებიდან ექვსი თვის განმავლობაში, მაშინ ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის თხოვნით, ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, იგი გადაეცემა საარბიტრაჟო სასამართლოს.

3. საარბიტრაჟო სასამართლო იქმნება თითოეული ინდივიდუალური შემთხვევისათვის შემდეგნაირად: საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი მიმართვის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში თითოეული ხელშემკვრელი მხარე დანიშნავს ამ სასამართლოს თითო წევრს. ეს ორი წევრი შემდეგ აირჩევს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ხელშემკვრელ მხარეთა თანხმობის შემდეგ დაინიშნება სასამართლოს თავმჯდომარედ (შემდგომში – “თავმჯდომარე”) თავმჯდომარე დაინიშნება სამი თვის განმავლობაში დანარჩენი ორი წევრის დანიშვნის დღიდან.

4. თუ ამ მუხლის მე – 3 პუნქტში მითითებულ პერიოდში შესაბამისი დანიშვნები არ განხორციელდება, მაშინ ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს მოიწვიოს გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს თავმჯდომარე, რათა მან განახორციელოს შესაბამისი დანიშვნები. თუ გაირკვევა, რომ იგი ითვლება ერთ-ერთი მხარის მოქალაქედ, ან სვა მიზეზების გამო იგი ვერ ასრულებს აღნიშნულ ფუნქციას, მაშინ აუცილებელი დანიშვნების განხორციელებისათვის მოწვეული იქნება თავმჯდომარის მოადგილე. თუ გაირკვევა, რომ თავმჯდომარის მოადგილე ასევე ითვლება რომელიმე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქედ, ან თუ ვერ შესძლებს აღნიშნული ფუნქციის შესრულებას, მაშინ გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს თანამდებობით შემდეგი წევრი, რომელსაც არ გააჩნია არცერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეობა, მოწვეულ იქნება დანიშვნების გასაკეთებლად და შეძლებს შეუფერხებლად შეასრულოს აღნიშნულ ფუნქციები.

5. საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ამგვარი გადაწყვეტილებები სავალდებულოა თითოეული მხარისათვის. თითოეული მხარე გაიღებს ხარჯს სასამართლოში თავის წევრებთან და საარბიტრაჟო სასამართლო წარმოებაში თავის წარმომადგენლობასთან დაკავშირებით, საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარესთან დაკავშირებული ხარჯები და დანარჩენი ხარჯები მხარეთა მიერ იფარება თანაბრად. საარბიტრაჟო სასამართლო განსაზღვრავს საკუთარ პროცედურას და თავისი გადაწყვეტილებით შეუძლია განსაზღვროს რომელი ხელშემკვრელი მხარე გაიღებს ხარჯების უმეტეს ნაწილს.

## **მუხლი 11**

### **სპეციალურ მოვალეობების და სხვა წესების გამოყენება**

1. თუ საკითხი რეგულირება ერთდროულად ამ შეთანხმებით და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეებადაც ითვლება ორივე ხელშემკვრელი მხარე, არაფერი ამ შეთანხმებაში ხელს არ შეუშლით ხელშემკვრელ

მხარეებს ან მათ ნებისმიერ ინვესტორებს, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ისარგებლონ იმ წესების უპირატესობით, რომლებიც უფრო ხელსაყრელია მათ შემთხვევებთან მიმართებაში.

2. თუ რეჟიმი, რომელიც ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ მიენიჭება მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებს მისი კანონებისა და წესების ან კონტრაქტის სხვა სპეციალური დებულებების შესაბამისად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ამ შეთანხმებით მინიჭებული რეჟიმი, მაშინ უზრუნველყოფილი იქნება მათ შორის უფრო ხელსაყრელი რეჟიმის მინიჭება.

## **მუხლი 12**

### **ცვლილებებისა და დამატებების შეგანა**

ამ შეთანხმებაში შეიძლება შეგანილი იქნას ცვლილებები და დამატებები ხელშემკვრელ მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით. ნებისმიერი შესწორება შევა ძალაში, თუ თითოეული ხელშემკვრელი მხარე შეაგყობინებს მეორე ხელშემკვრელი მხარეს, რომ მან მოაწესრიგა ყველა შესაბამისი ფორმალთა, რომლებიც ხელს უშლიდნენ ამ შესწორებების ძალაში შესვლას.

## **მუხლი 13**

### **შეთანხმების ძალაში შესვლა, მოქმედების ხანგრძლივობა და შეწყვეტა**

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე წერილობით აცნობებს მეორე ხელშემკვრელ მხარეს ამ თანხმობის ძალაში შესასვლელად საჭირო მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ. ეს შეთანხმება ძალაში შევა ბოლო შეგყობინების მიღების დღეს.

2. ეს შეთანხმება ძალაში რჩება ათი წლის განმავლობაში მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება 5 წლიანი პერიოდებით, თუ არცერთი ხელშემკვრელი მხარე შესაბამისი პერიოდის გასვლამდე 6 თვით ადრე წერილობით არ აცნობებს მეორე ხელშემკვრელ მხარეს მისი შეწყვეტის შესახებ განზრახვას.

3. იმ ინვესტიციების მიმართ, რომლებიც განხორციელდა ამ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტამდე, ამ შეთანხმების (1-11 მუხლები) დებულებები ძალაში რჩება მისი მოქმედების შეწყვეტის თარიღიდან ათი წლის განმავლობაში.

შესრულებულია ქ. თბილისში 1996 წლის 17 სექტემბერს, ორი პირად, თითოეული ქართულ, ყაზახურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია. ამ შეთანხმების დებულებათა განმარტების მიზნით უპირატესობა ენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

საქართველოს  
მთავრობის სახელით

ყაზახეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით